

**ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
ადმასრულებელი საბჭოს
სხდომა**

29 თებერვალი 2008 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:
ქ. თბილისი, არაყიშვილის I ჩიხი №9

სხდომის დაწყების დრო: 18:29სთ.

სხდომაზე დამსწრე ადმასრულებელი საბჭოს წევრები:
კახაბერ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დავით ასათიანი, რუსუდან პიტავა,
დავით ლანჩავა, ზურაბ ტაბიძე, ზაზა ხატიაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: კახაბერ ასლანიშვილი

დღის წესრიგი:

1. 2008 წლის საგაზაფხულო ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის დამტკიცების შესახებ;
2. სხვა მიმდინარე საკითხები.

ადმასრულებელი საბჭოს სხდომა გახსნა თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხით და საბჭოს წევრებს გააცნო ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის კანდიდატთა სია.

თავმჯდომარის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი სია შეფასდა დადებითად.

მეორე საკითხად სხდომაზე განხილულ იქნა საბჭოს წევრის ზვიად კორძაძის ინიციატივა ასოციაციის ახალი თავმჯდომარის არჩევის საფუძველით საერთო კრების მოწვევის თაობაზე.

თავმჯდომარემ გამოთქვა აღნიშნული დღის წესრიგით კრების ჩატარების მზადყოფნა.

საბჭოს წევრმა დავით ლანჩავამ სთხოვა თავმჯდომარეს გაეკეთებინა დეტალურად, ქრონოლოგიის მიხედვით იმ იურიდიული ფაქტების ჩამოთვლა, რომელთა დასრულებით მოხდა ასოციაციის საბოლოო ფორმირება.

დავით ლანჩავა არ დაეთანხმა საერთო კრების მოწვევას თავმჯდომარის არჩევის დღის წესრიგით და განმარტა, რომ ასოციაციის თავმჯდომარესა და საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების ვადა ეწურებათ ერთად 2009 წლის 21 იანვარს, რადგან ასოციაციის ფორმირება დასრულდა 2006 წლის 21 იანვარს. 2005 წლის 26 თებერვლიდან, ანუ დამფუძნებელი კრების გახსნის დღიდან 2006 წლის 21 იანვრამდე კრება იყო დამფუძნებელ რეჟიმში. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა ზურაბ ტაბიძე.

მიმდინარე წლის 22 თებერვლის სხდომაზე ზვიად კორძაძემ აღნიშნა, რომ არ მოხდეს ასოციაციის თავმჯდომარისა და აღმასრულებელი საბჭოს არჩევის თარიღის აცდენა აღმასრულებელი საბჭოს წევრები უნდა გადადგნენ. თვითონ გამოთქვა მზადყოფნა გადადგომის თაობაზე.

ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა ქალბატონი რუსუდან პიტავა და განმარტა, რომ ვინაიდან აღმასრულებელი საბჭო კრების მიერაა არჩეული, საბჭოს წევრებს სურვილიც რომ ქონდეთ, უფლება არა აქვთ გადადგნენ უფლებამოსილების ვადის გასვლამდე. არდა ამისა, ასოციაციის თავმჯდომარესა და სხვა ორგანოებს თითქმის ცხრა თვის განმავლობაში შეჩერებული ჰქონდა უფლებამოსილება სასამართლოს გადაწყვეტილებით და ეს პერიოდი არ შეიძლება ჩაითვალოს უფლებამოსილების განხორციელების ვადად. ფაქტი ერთია, რომ ასოციაციის თავმჯდომარე და აღმასრულებელი საბჭო ერთნაირი ვადით ირჩევიან და ერთად უნდა განახორციელონ უფლებამოსილება. აღნიშნულიდან გამომდინარე არ უნდა გადადგეს საბჭო, დასძინა ქალბატონმა რუსუდანმა. მის ამ მოსაზრებას დაეთანხმა დავით ლანჩავაც.

საბჭოს წევრმა დავით ასათიანმა აღნიშნა, რომ სხდომის მსვლელობისას გაუდერებული არგუმენტები არის სამართლებრივი ხასიათის, მაგრამ ეს ყველაფერი იქნება მეორეხარისხოვანი თუ დაიწყო დაპირისპირება.

ზვიად კორძაძის ინიციატივას, საბჭოს წევრთა გადადგომის თაობაზე და საერთო კრების მოწვევა დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად თავმჯდომარის არჩევნებით ეთქვა უარი.

ზაზა ხატიაშვილის მოსაზრებით, როდესაც საუბარია თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელების ხანგრძლივობაზე, აღსანიშნავია ერთი გარემოება, ამ პერიოდში ასოციაციის თავმჯდომარე ვერ ახორციელებდა უფლებამოსილებას. თავმჯდომარე თავის უფლებამოსილებას ფორმალურად არ უნდა ახორციელებდეს. არ შეიძლება ერთი კაცის ინტერესებს ადვოკატურა შეეწიროს. მთავარია არ დაინერგოს მახინჯი პრაქტიკა.

რუსუდან პიტავას მოსაზრებით, პრობლემა არის არა ახალი თავმჯდომარის არჩევის საკითხის დაყენება, არამედ თვითონ კრების მოწვევა, რადგან ამ პირობებში შეუძლებელია ქვორუმის არსებობა. ამ პრობლემის მოსაგვარებლად დასაჩქარებელია საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“ ცვლილებების შეტანა, რათა შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილებაუნარიანი კრების ჩატარება. აუცილებელია პარლამენტის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიას გაუვიდა უფლებამოსილების განხორციელების ვადა 2008 წლის 21 იანვარს და საერთო კრების მოწვევის გარეშე კომისია ვერ აირჩევა. ასოციაცია, როგორც ასეთი, მოიაზრება როგორც სტრუქტურულ ერთეულთა ნაკრები, თუ რომელიმე სტრუქტურა გამოეთიშა, ერთეულების გარეშე მარტო თავმჯდომარე არაფერი არ არის.

დავით ასათიანის მოსაზრებით, აუცილებელია დაიწყოს პროცედურა ურჩვადამხდელთა მიმართ. გამოთქმულ აზრს დაეთანხმა დავით ლანჩავა და აღნიშნა, პროცედურის განხორციელებამდე კიდევ ერთხელ უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი განცხადება იმ წევრთა მიმართ, ვისაც ერიცხება დავალიანება.

სხდომაზე დამსწრე წევრები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია სარევიზიო კომისიის არჩევა, მაგრამ რადგან ქვორუმის პრობლემა არსებობს პირველ რიგში უნდა გადაწყდეს კანონში ცვლილებების შეტანის საკითხი. ამასთან, ყველა შესაძლო ღონისძიება უნდა იქნას გატარებული საწევროს გადახდის უზრუნველსაყოფად.

გ ა დ ა წ ე დ ა:

1. დამტკიცდა ადვოკატთა ტესტირების საკვალიფიკაციო კომისიის წარმოდგენილი შემადგენლობა.

საკვალიფიკაციო კომისიის რომელიმე წევრის მიერ უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მას ჩაანაცვლებს იგივე სამართლის სფეროში მომუშავე სპეციალისტი.

2. ინიციატივას, თავმჯდომარის არჩევნების დღის წესრიგით რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ, ეთქვა უარი.

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად ღია კენჭისყრით.

გადაწყვეტილების მიღებისას აღმასრულებელი საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ: კ. ასლანიშვილი (თავმჯდომარე), დ. ასათიანი, რ. პიტავა, ზ. ტაბიძე, დ. ლანჩავა ზ. ხატიაშვილი.

კახაბერ ასლანიშვილი
თავმჯდომარე